სატენდერო დოკუმენტაცია

სოფლის პროგრამის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საამშენებლო ბლოკის, საამშენებლო თეთრი ქვიშის, „კრომი“-ს და მ400 მარკის ცემენტის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის თაობაზე

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

2016 წელი

1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

2.საკვალიფიკაციო მოთხოვნები

2.1 საკვალიფიკაციო მონაცემები პრედენდენტებს არ მოეთხოვება.

3.ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1 სამუშაოს დასახელება და შესრულების ვადა:

3.1.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს სოფლის პროგრამის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საამშენებლო ბლოკის, საამშენებლო თეთრი ქვიშის, „კროში“-ს და მ400 მარკის ცემენტის მოწოდება ტექნიკური პარამეტრების ცხრილის მიხედვით.

3.1.2 „მიმწოდებელმა“ სამუშაოების შესრულება უნდა განახორციელოს ეტაპობრივად ხელშეკრულების დადებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

ა) პრეტენდენტის შეთავაზება ტექნიკური პარამეტრების ცხრილის მიხედვით,
ბ) პრეტენდენტის რეკვიზიტები

3.6 ანგარიშსწორების პირობები:

3.6.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით
3.6.2 შუალედური ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მოწოდებული მასალების მოცულობების მიხედვით;

3.6.3 შემსყიდველი თანახმაა განიხილოს საავანსო თანხის გაცემის საკითხი და სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე წინასწარ გადაურიცხოს მიმწოდებელს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30% იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი საავანსო გარანტია.
3.6.4 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

3.7.სატენდერო წინადადების ფასი:
3.7.1 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
3.7.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

3.9 სხვა მოთხოვნები

3.9.1 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20% და მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარისხის, მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავების გათვალისწინებით, მომწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად მასალების მოწოდების შესაძლებლობა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შეტყობინების მიღებიდან არა უმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღეში. აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

3.9.2 **მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს** შემსყიდველის მოთხოვნებს. **მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს** მასალები მუნიციპალიტეტის **მიერ მოთხოვნის შესაბამის ადგილზე მიტანით.**

3.10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

3.10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი თვით აღემატება სამუშაოების დასრულების ვადას.

4.დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:

მანაველ კვირიკაშვილი ტელ. 555 557227, ვეფხვია ზივზივაძე 596123446

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებულიელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნებახელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ქ. ბაღდათი

2016 წელი

ერთის მხრივ, ბაღდათის მუნიციპალიტეტი (შემდგომში `შემსყიდველი“) ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახით . (მისამართი:). მეორეს მხრივ ------- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---- (მისამართი: ----------), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (-
---) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის (-------) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. “მომწოდებელი” - ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 „მომსახურება“– ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

1.7 „ტექნიკური დოკყმენტაცია“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 საამშენებლო ბლოკის, საამშენებლო თეთრი ქვიშის, „კროში“-ს და მ400 მარკის ცემენტის შესყიდვა-მიწოდება.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია დანართიN2-ში.

2.3 კლასიფიკატორის კოდი –

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს --------- ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის იბიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

4.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადა

5.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნიით 20(ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“–ს მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

6.2 ,,მიმწოდებელმა“ საქონლის მიწოდებისას უნდა წარმოადგინოს მოწოდებული პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6.2 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის სრულად მიწოდების შემდეგ „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე.

7.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს: ა) მოწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება, ბ) მოწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტი. დ) შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი.

7.3. მიწოდებულ საქონელზე ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად, სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.8.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

პირობები „შემსყიდველი“ ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს გონივრულ ვადაში მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია: –გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

10.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია: – უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

10.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია: – მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია: – დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: – ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20% (ოცი)-ის ოდენობით.

11.2 მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2%–ის ოდენობით.

11.3 მხარემ რომელმაც ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 20 % ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ შემსრულებელს მისგან დამოუკიდებელი მიზეზები გამოს არ შეუძლია ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა ვადაგადაცილებების გამო მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 2%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის

დ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდება რომ მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების ან სხვა წარმოდგენილი დოკუმენტების ყალბი აღმოჩნდება

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულს სხვა შემთხვევებში.

12.8 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 ადგილობრივი ,,მომწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია : ----------

16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი)

19. მხარეთა რეკვიზიტები

Semsyidveli **mimwodebeli**

1. რეკვიზიტები: დანართი # 1

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

(პრედენდენტის დასახელება) (ხელმოწერა)

_____

(სახელი, გვარი, თანამდებობა) (თარიღი, ბ.ა)

_____

_____

დანართი